**სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის**

**ბრძანება №33/ნ**

**2025 წლის 22 სექტემბერი**

**ქ. თბილისი**

**დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობის – ზღვრის განსაზღვრის თაობაზე**

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ზღვრის ოდენობად განისაზღვროს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი აპრილიდან.

**მუხლი 3**

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობის – ზღვრის განსაზღვრის თაობაზე“ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 22 თებერვლის 19/ნ ბრძანება (www.matsne.gov.ge, 23/02/2023; ს/კ: 220050000.66.078.016019).

**სსიპ დეპოზიტების დაზღვევის**
**სააგენტოს უფროსი** **ლევან თოდუა**